

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №19

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

09. 11.2021 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -**ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, მალხაზ ცერცვაძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

სხდომა 15-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2021 წლის 10 ნოემბრის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებაში „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს.გიორგი ივანიაძე

2.„ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს. ივანე მამფორია

3. „ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის #27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს. მამუკა ნამიჭეიშვილი

4.„ ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და ჩარიცხული თანხების შესახებ 2021 წლის 01 ოქტომბრის მდგომარებით“ ინფორმაციის მოსმენა

მომხს. ივანე მამფორია

5.„ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების ანგარიში“ ინფორმაციის მოსმენა

6. სხვადასხვა

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებაში „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში ძირითადი ცვლილებები არის შემდეგი:

1. შეიცვალა საკრებულოს წევრების რაოდენობა და ნაცვლად 35-ისა არის 30. აქედან 10 მაჟორიტარი დეპუტატი და 20 პროპორციული წესით გასული დეპუტატი.
2. დადგენილებას დაემატა პეტიციის ელექტრონულად წარდგენის მუხლი.
3. ტერმინოლოგიურად „თვითმმართველი ერთეული“ შეიცვალა „მუნიციპალიტეტით“.
4. მე-5 მუხლში შევიდა ცვლილება, „საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონულად“.
5. დაემატა საკრებულოს სხდომების დისტანციურად ჩატარების უფლება.
6. შეიცვალა ერთი კომისიის დასახელება და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისია“

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 10 ნოემბერს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

ბიუჯეტში ცვლილება განაპირობა საკუთარი შემოსავლების ზრდამ რომელიც მიიმართება საახალწლო განათების შესაძენად.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 15746,5 ათასი ლარით, გადასახდელები 17013,2 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1266,7 ათასი ლარის რედაქციით:

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 10 ნოემბერს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი . „ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის #27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შუამთის და მუქედის მოსახლეობის მოთხოვნით შევიდა შემდეგი ცვლილებები პროექტებში: კერძოდ, შუამთაში სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა რაც პროექტით იყო გათვალისწინებული შეიცვალა და მოხდება მასალების შეძენა:1. სკვერის რებილიტაცია, 2. გარე განათების მოწყობა, 3.ტუალეტის წყლით მომარაგება. ასევე მდინარე ყუმურის კალაპოტში არსებული ბეტონის დამბის დაშლითვის თანხა მიემართება საწრეტი არხის რეაბილიტაციისათვის სამოვრის შესასვლელიდან სამხრეთის მიმართულებით. ასევე მუქედში სკვერის კეთილმოწყობა შეიცვალა და შეძენილი იქნება მასალები ამ სკვერის კეთილმოწყობისთვის.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 10 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ინფორმაცია ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და ჩარიცხული თანხების შესახებ 2021 წლის 01 ოქტომბრის მდგომარებით”.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2021 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან 9 თვის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 126,3 ათასი ლარი გამოიყო. გამოყოფილი თანხების საკასო შესრულება 125,7 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 120,8 ათასი ლარი, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლით 4,9 ათასი ლარი მიიმართა.

ბიუროს წევრების მხრიდან ამ ინფორმაციაზე შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ინფორმაცია „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების ანგარიში“-ს შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წლის 28 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N28 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 6900,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7600,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 700,0 ათასი ლარით. პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შვიდჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 15731,5 ათასი ლარის, გადასახდელები 16998,2 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1266,7 ათასი ლარის მოცულობით.

ბიუროს წევრების მხრიდან ინფორმაციაზე შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

„სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე